ასე თუ ისე, სიდნის ოლიმპიური თამაშები და მეტადრე მისი საკურო აუზი დიდხანს დაამახსოვრდება მასპინძელ გუნდრკინსს, 17 წლის იან ტორპსაც, რომელსაც ოლიმპიადის დაწყებამდე ყველაზე ერთხმად აღიარებდნენ 200 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში პლანეტის უსწრაფეს მოცურავედ და ეჭვიც არავის ეპარებოდა, რომ იგი ყოველი გაცურვის შემდეგ გამარჯვებულის კეარცხლებზე ავიდოდა. მართლაც დღევანდელი სპორტში ყველაზე ცნობილი ტერფის პატრონს იან ტორპს ყურადღება არ მოჰკლებია არა მარტო იმიტომ, რომ მისგან მსოფლიოს რეკორდებს მოელოდნენ, არამედ მისი ფეხების გამოც. ბევრს მიაჩნია, რომ ტორპის წარმატებების საწინდარი მისივე არანორმალური ფეხის ზომაა, რომელიც წყალში ისე მოძრაობს, როგორც ნავის უკან მოთავსებული წყვილი პროპელერი. გარდა ამისა, 1,98 სიმაღლის ტორპს რეკორდებისკენ საკმაოდ გრძელი ხელებიც მიაკურებენ.

ავსტრალიელები მართლაც რომ ემაღლიერებიან ტორპის ხელებსა თუ ფეხებს, რადგან ასპარეზობის პირველივე დღეს „ტორპელში“, რომელიც მისი ხედმეტსახელია, 400 მეტრზე თავისუფალი სტილით მსოფლიოს საუკეთესო შედეგი 3 წუთსა და 40,59 წამში დაამყარა, რითაც თავისივე მსოფლიოს რეკორდი დაამხო 3.41,33 და ბავშვობისდროინდელი ოცნება, ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა, რითაც ავსტრალიელებს პირველი გამარჯვება მოუტანა.

აღსანიშნავია, რომ 1998 წელს, როცა ტორპი იმავე დისციპლინაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, იგი 15 წლისა იყო, ანუ ცურვის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა კაცი მოცურავე ვისაც კი ჩემპიონის ტიტული მოუპო-



მაღამ ბატმრფლა: ინგე დე ბრუნმა მსოფლიოს რეკორდი დაამყარა

ვებია. ახლა კი ამ უმაღლეს ჯილდოს ყველასათვის სანუკვარი ოლიმპიური ოქროს მედალიც მიუმატა.

— თავს გლადიატორით ვგრძობდი, რომელიც კოლიზუმის წინ დააბიჯებდა. მე განვახორციელე ის, რაზეც დიდი ხნის წინ ვოცნებობდი — განაცხადა ახალგაზრდა ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მას კიდევ ერთი გამარჯვებაც მიაყოლა. ამჯერად არა ინდივიდუალურ სახეობაში, არამედ 4X100 თავისუფალი სტილით ესტაფეტაში, სადაც თანაგუნდელებთან მაიკლ კლიმთან, კრის ფიდლერთან და ეშლი კალუსთან ერთად ახალი მსოფლიოს რეკორდი „გამოაცხო“ — 3.13,67 და პირველად 36 წლის მანძილზე იანკების დამარცხება შეძლეს, რომლებიც აგერ უკვე სამ ათეულ წელზე მეტია, რაც 4X100 თავისუფალი სტილით ესტაფეტაში ბატონობდნენ.

აღსანიშნავია, რომ ამ გამარჯვებით ოზებმა გარკვეული ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვეს. მათი უმთავრესი მიზანი ხომ ამერიკელთა „ბატ-

ხვია“, რათა იანკებს დაუმტკიცონ, რომ ახლა ოზთა ნაკრები უფრო ძლიერია, ვიდრე ამერიკელთა.

— ესტაფეტის მოგება ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო — განაცხადა ავსტრალიის ნაკრების კმაყოფილმა მწვრთნელმა დონ ტელბოტმა.

სიხარულს ვერ მალავდა ტორპიც, რომლისთვისაც თურმე ესტაფეტაში გამარჯვება უფრო მნიშვნელოვანი ყოფილა, ვიდრე ინდივიდუალურ გაცურვაში მიღწეული ჩემპიონობა.

— ამას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, რადგან ასეთ გამარჯვებას შენთან ერთად შენი სამი თანაგუნდელიც იზიარებს. ამერიკელები ამ დისციპლინაში დიდი ხნის მანძილზე დომინირებდნენ. ახლანდელი წარმატება კი ავსტრალიური ცურვისთვის მართლაც რომ დიდი ტრიუმფი იყო. ვიმედოვნებ, ეს გამარჯვება ნაკრების სულისკვეთებას ააძაღლებს. ეს დღე ჩემ ცხოვრებაში საუკეთესო იყო — განაცხადა უკვე ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა.

აღსანიშნავია კლიმის გამოხვლაც, რო-

მელმაც სასტარტო გაცურვაში მსოფლიოს საუკეთესო შედეგი აჩვენა — 48,18, რამაც ნაწილობრივ განაპირობა კიდევ ესტაფეტაში ოზების გამარჯვება.

ოლიმპიადის დაწყებამდე, როგორც უკვე მოგახსენეთ, 200 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით გამარჯვებებს ყველა ტორპს უწინასწარმეტყველებდა. ამის საბაბს კი ის შედეგები გვაძლევდა, რომელსაც ტორპი გვიჩვენებდა. თავად განსაჯეთ, ორივე დისციპლინაში „ტორპელში“ ყველა მსოფლიოს რეკორდი დაამხო და შემდეგ მხოლოდ საკუთარ რეკორდებს და თუ აუმაჯობებდა. ამიტომაც მისი შემყურენი ამბობდნენ, ერთადერთი, ვისთანაც მას ჭიდილი მოუწევს, ეს დროაო. ამის მაგალითად 400 მეტრზე მის მიერ მიღწეული გამარჯვებაც კმარა, როდესაც ფინალში ჩემპიონობა მსოფლიოს რეკორდთან ერთად მოიპოვა და თავის უახლოეს მდევარ იტალიელ მასიმილიანო როსოლინოს მთელი ასპარეზობის განმავლობაში 3-4 მეტრით უსწრებდა. ხოლო როდესაც შეჯიბრება



ტრიუმფატორი იან ტორპი (მარჯვნივ) პიტერ ვან ჰოგენბანდმა დაამარცხა

მორჩა, ტორპი მშვიდად შეპყრებდა ელექტროტაბლოს, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ჩემპიონობა მას დარჩებოდა. იტალიელი როსოლინო კი სიხარულისგან ხელებს აქეთ-იქეთ იქნევდა და თან რაღაცას გაპყვიროდა. ალბათ იმითაც კმაყოფილი იყო, რომ ტორპის უახლოესი მდევრის როლში გამოდიოდა.

ასპარეზობის მეორე დღესაც ყველაზე ტორპის ტრიუმფის მოლოდინში იყვნენ, მაგრამ აქ პოლანდიელმა პიტერ ვან ჰოგენბანდმა შემოგვთავაზა სიურპრიზი. მან ნახევარფინალში, 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში თავად ტორპის მსოფლიოს რეკორდი დაამხო — 1.45,35 და გუმინდელი დღის ფინალში გავიდა, თუმც კმაყოფილება მინც არ ეტყობოდა.

— თავს ცოტა უცნაურად ვგრძობ. დაახლოებით 1.46-ის ფარგლებში მსურდა ჩემი შედეგის ხილვა. მართლაც გასაოცარია. ვფიქრობ, ფინალში შემწვევს უნარი, ცოტათი კიდევ გავაუმჯობესო შედეგი, თუმც ტორპს უფრო მეტის გაკეთება მოუწევს. არა მგონია, ამ მსოფლიოს რეკორდმა დიდხანს გასტანოს. მეჯერა, კარგი ფინალის მომსწრენი გავხვდებით — განაცხადა ვან ჰოგენბანდმა და არც შემცდარა. ფინალი მართლაც რომ თვალსაჩინო გამოდგა.

გუმინდელი ფინალური გაცურვა ცურვაზე ჰკუთვალავს მილიონობით ოზისთვის საბედისწერო გამოდგა. მფრინავმა პოლანდიელმა მათი თანამემამულე გაანაწყენა, როდესაც ტორპს ცხვირწინ აართვა ოლიმპიური ოქრო, თანაც წინა დღის ნახევარფინალში დაამყარებული მსოფლიოს რეკორდი გაიმეორა.

— გაოცებული ვარ. მე ხომ ეს მის ქვეყანაში, მის ქალაქში, მის აუზში შედეგად — გაოცებას ვერ ფარავდა ვან ჰოგენბანდი.

სხვათა შორის ვან ჰოგენბანდი პირველია, პოლანდიელ კაც მოცურავეთა შორის, რომელმაც თავის ქვეყანას ოლიმპიური ოქროს მედალი მოუპოვა.

აღფრთოვანებული ჩანდა პოლანდიელთა გუნდის ხელმძღვანელი იან ლორბაზი, რომელსაც ტორპის დამარცხება სიგიჟედ მიაჩნდა, თუმც ადინიშნა, რომ მას ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი, რადგან დღეს 100 მეტრზე იმავე დისციპლინაში ისეთ მეტოქესთან მოუწევს ასპარეზობა, როგორც რუსი ალექსანდრ პოპოვი.

მართლაც ძალიან ძნელია ტორპის დარი მოცურავის გამოწვევა, მაგრამ პოპოვი ხომ ბოლო ათწლეულის უდიდესი მოცურავეა.

როდესაც ვან ჰოგენბანდს დღევანდელი დღის მეტოქეზე, პოპოვზე ჩამოუგდეს სიტყვა, მფრინავმა პოლანდიელმა განაცხადა: „აუ, ახლა არ მინდა მომავალზე ფიქრი. მინდა, კიდევ რამდენიმე საათს დავტკე წარმატებით.“ რამდენხანს გასტანს პოლანდიელის სიამოვნება, ამას დღეს შევიტყობთ. მანამდე კი მის თანამემამულე ინგე დე ბრუნის დაგურბუნდეთ, რომელმაც ტიტების ქვეყანას პირველი ოქრო მოუტანა. ალბათ, მისმა წარმატებამ შეასხა ფრთები ვან ჰოგენბანდსაც. აღსანიშნავია, რომ 100 მეტრზე ბატერფლით ცურვაში დე ბრუნს ამ დისციპლინის კორიფეტთან — ამერიკელ ჯენი ტომპსონთან და დარა ტორესთან პაექრობა მოუხდა, თუმც „მადამ ბატერფლიამ“ ჩემპიონობა არავის დაუთმო და დისტანცია მსოფლიოს რეკორდით — 56,61 დაასრულა. მან თავის რეკორდების აკიდოს კიდევ ერთი შეპმატა და საწადელიც აისრულა, რადგან სპორტული კარიერის მანძილზე მნიშვნელოვანი წარმატებისთვის ჯერაც არ მიეღწია, ევროპის ორგზის ჩემპიონობას თუ არ ჩავთვლით. არადა, გაზაფხულიდან მოყოლებული რეკორდს რეკორდზე ამყარებდა. აკი თავდაც არაერთხელ განუცხადებია, კარგი იქნება, თუ მსოფლიოს რეკორდებს სიდნის ოქროს მედალით დავაგვიგრავინებო. და აგვირგვინა კიდევ, ახლა იგი ოლიმპიური ჩემპიონია და კარიერის დასასრულს შეუძლია მშვიდად შეხვდეს.

— ბოლოს და ბოლოს ეს მოხდა. თავს ბედნიერად ვგრძობ. ჩემი მიზანი იყო, როგორმე პირველი მივსულიყავი აუზის კედელთან — განაცხადა დე ბრუნმა.

გიგა გუჩასაფილი

ჩამპიონები და პრიზიორები

17 სექტემბერი

ველოპრაიკი



ვაეები. 4 კმ. გამოდევნებით რბოლა

- 1. რობერტ ბარტკო (გერმანია)
2. იენს ლემანი (გერმანია)
3. ბრედ მაკგი (ავსტრალია)

ვაეები. ოლიმპიური სპრინტი

- 1. საფრანგეთი (ლორან განე, ფლორიან რუსო, არნო ტურნანი)
2. დიდი ბრიტანეთი
3. ავსტრალია

ფარიკაობა



ქალები. დაშა

- 1. ტიმეა ნადი (უნგრეთი)
2. იანა აბლუეტხელ-ბორვი (შვეიცარია)
3. ლაურა ფლესელ-სოლოვიკი (საფრანგეთი)

კიუდო



ვაეები. 66 კგ

- 1. ჰუსეინ ოზქანი (თურქეთი)
2. ლარბი ბენბოდაუდი (საფრანგეთი)
3. ჯიროლამო ჯოვინაცო (იტალია)
3. გიორგი ვაზაგაშვილი (საქართველო)

ქალები. 52 კგ

- 1. ლენია ვერდესია (კუბა)
2. ნორიკო ნარაბაკი (იაპონია)
3. სუნ ჰუი კიე (ჩრდილოეთ კორეა)
3. იუსიანგ ლიუ (ჩინეთი)

ბრიატლონი



ვაეები

- 1. საიმონ უიტიფილდი (კანადა)
2. სტეფან ვუჩკოვიჩი (გერმანია)
3. იან რეჟულა (ჩეხეთი)

სროლა



ვაეები. სასანგრე სტენდი

- 1. მაიკლ დამონდი (ავსტრალია)
2. იან პილი (დიდი ბრიტანეთი)
3. ჯოვანი პელიელი (იტალია)

ქალები. პნევმატიური პისტოლეტი

- 1. ლუნა ტაო (ჩინეთი)
2. იასნა სეკარიჩი (იუგოსლავია)
3. ანემარი ფორდერი (ავსტრალია)

სურვა



ვაეები. 100მ. ბრასი

- 1. დომენიკო ფიორავანტი (იტალია)
2. ედ მოხესი (აშშ)
3. რომან სლუდნოვი (რუსეთი)

ვაეები. 400მ. კომპლექსური

- 1. ტომ დოლანი (აშშ)
2. ერიკ ვენდტი (აშშ)
3. კურტის მაიდენი (კანადა)

ქალები. 100მ. ბატერფლაი

- 1. ინგე დე ბრუინი (ჰოლანდია)
2. მარტინა მორავეკოვა (სლოვაკეთი)
3. დარა ტორესი (აშშ)

ქალები. 400მ. თავისუფალი სტილი

- 1. ბრუკ ბენეტი (აშშ)
2. დიანა მუნზი (აშშ)
3. კლაუდია პოლი (კოსტა რიკა)

კალისნობა



ვაეები. 62 კგ

- 1. ნიკოლაი პეშალოვი (ხორვატია)
2. ლეონიდას საბანისი (საბერძნეთი)
3. სეფდალინ მინჩევი (ბულგარეთი)

ქალები. 48 კგ

- 1. იზაბელა დრაგენევა (ბულგარეთი)
2. ტარა ნოტი (აშშ)
3. რომა ლისა რუმბევასი (ინდონეზია)

ალი დარბაზში. ქართველი რინგზე



REUTERS სინდრონი

თურქთა სახელით მოასპარეზე აქან (აქაი) კაკაურიძემ (მარცხნივ) არგენტინელ მარიანო კარერას ნოკაუტი აწვია

სიღინეში კრივი გვარინად დაიწყო. შაბათს პირველი ბრძოლები გაიმართა და რასხან ჯერ მხოლოდ დასაწყისშია, დარბაზი ქომაგებით არ გადაჭედებია. ასე, ორი ათასმა კაცმა მოიყარა თავი ქართველი თემურაზ ხურცილავასა და სომეხი არამ რამაზიანის ჩხუბის საყურებლად (54 კილოგრამამდე წონითი კატეგორია). მოქიშპეებს მუშტები რიგინად არ გაეხურებინათ, რომ ვინ დარბაზში შეკრებილიყო, როგორც ერთმა კაცმა, სისარულით იღრიალა — იქაურობა ლეგენდარულ მუშაშად ალის დაეფასებინა და იმის მერე რინგისკენ ერთხანს კაციშვილს არ გაუხედავს, თუმცა მოკრივენი თავიანთ საქმეს მუყაითად განაგრძობდნენ. რასხან ხურცილავა ამჟამად ალიზე მეტად გვიანტერესებს, უპირველესად მისი გამარჯვების ამბავს მოგახსენებთ. ქართველმა მეზობელი 12:9 დაამარცხა და მეორე წრეში დიდი სიმწარის გადატანა მოუწევს: ატლანტის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი და მსოფლიოს ჩემპიონი, რუსეთის მოქალაქე, რაიკმულ მალახბეკოვი უნდა დაჩაგროს, თუ შემდგომი ეტაპის ხილვა სურს. ურთულესი საქმეა — ჯანზე მეფემა მალახბეკოვმა შაბათს არგენტინელი კეფერინო ლაბარდა სცემა სანაქებოდ, მეოთხე რაუნდი საერთოდ აღარ დასჭირდა მოსაგებად. ყურადღების ცენტრში მყოფი ალი კი აქეთ-იქით კანფეტებით არიგებდა ტკბილ დიმილს, თავაზიან თავდაკრასა და ნაცნობთა მოკითხვას. თავიდან ძველ პროფესიონალს, ჯო ბაგნერს ჩაეხუტა, ვისთანაც თავის დროზე ბლომად მუშტები გაუცვლია (ბაგნერი სიღინეში ტელეკომენტატორად ჩავიდა), შემდეგ სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ფედერაციის (აიბა) ოფიცირი გადააკონცა და მათ გვერდით მოკალათდა. ხალხიც მაშინვე აქეთ მოჯარდა, ორმა პატარა ბიჭუნამ კერპთან მისვლა ვეცლის დაასწრო და ალიმ მათაც აკოცა, მერე კი გაიკაკა, რომ კრივის დარბაზში მისი სტუმრობის მიზეზი კლარენს ვინსონი ყოფილა, ამერიკელი მოკრივე, რომელსაც საცა თავის პირველი ბრძოლა უნდა გაემართა. ვინსონმა შეურაცხველად იჩხუბა. ორი რაუნდის შემდეგ მხოლოდ 3:2-ს კი უგებდა რამიდ ბუაიტას (საფრანგეთიდან), მაგრამ მერე, მესამესა და მეოთხეში უფრო მონდომებით დააყარა და 9:2 მოიგო. ბრძოლის შემდეგ ალიმ დარბაზი ძველი მძაკაცისა და ფოტოგრაფის, ჰოვარდ ბინგემის თანხლებით დატოვა, ვინსონმა კი ლამის იტირა: „დაუჯერებელი შეგრძნებაა — თქვა მან — დღეს ჩემს ბრძოლას უყურებდა კაცი, ვისი ჩხუბისთვისაც ბავშვობაში სუნთქავაშეკრულს მიცქერია. ამას ახდენილი ოცნება ჰქვია“.


საერთოდ, ახალ ოლიმპიურ საკრივო ფორმატს ვერჯერობით უფრო დადებითად აფასებენ. სამი საქმითიანი რაუნდის ნაცვლად ოთხი ორწუთიანის შემოღება ვივულისსებით. ბრძოლათა ფეექტურობამ იმატა და შაბათის პირველი 12 მატჩიდან ხუთი დამთავრდა დროზე ადრე. მალახბეკოვის ამბავი იცით და მისსავე და ხურცილავას წონაში კუბელმა გილერმო რიგონდომ ვეცლას გადააჭარბა. რიგონდოსთვის ეს პირველი ოლიმპიადია, მაგრამ ისე თავდაჯერებულად იბრძვის, გამოცდილ ოსტატს შემურდებდა. აი, რა უფო მან ტუნისელ მოეზ ხემზემის პირველ წრეში: ბრძოლის დაწყებიდან ცხრა წამში ნოკდაუნი უძღვნა და თუმცა ხემზემი როგორც ფესზე დადგა, უკვე 23-ე წამზე რეფერმ არაადამიანური შიუს გაგრძელება აღარ ისურვა. გამოირჩა გერმანელი ჯარისკაცი, შტეფენ კუნსლერი, რომელიც 67 კილოგრამამდე წონაში ლესტოლიდ მოსოლესა ციეს შეხვდა. პირველ რაუნდში იმდენი არაფერი და მეორეში ზანიც სკამიდან წესიერად არ აძვარია, როცა კუნსლერმა ორჯერ დაარტყა და მეტოქე თოკებში გახლართა. რეფერმ დაუყოვნებლივ შეწყვიტა ჩხუბი. ყირგიზმა ტალაბეკ კადირალიევამაც არ მიიყვანა საქმე ქულელებად (54 კგ), კამერუნელი ნეფუკ პერმანი მესამე რაუნდში დარტყმებით გააბრუა და დამარცხებული გაისტუმრა. რინგშიღმა საკრივო ამბავთაგან 26 წლის ავსტრალიელი აბორიგენის, ჯეიმს სკონის ბრძოლაზე ნახევარი საათით დაგვიანება გამოვარჩიეთ, ისევე და ისევე სიღინეის ყბადღებელი სატრანსპორტო პრობლემები გამო. სკონი იქაური ბიჭია, ელის სპრინგი ცხოვრობს და როცა მძღოლმა ავტობუსი ოლიმპიური სოფლიდან არასწორი გზით წაიყვანა, მან შენიშვნა მისცა. „ვეუბნები, იქით არ მივდივართ, საითაც საჭიროა-მეთქი — უამბობდა სკონი მასმედისას — ის კი მიმტკიცებს, ჩემი საქმე ვიცოდა და საათისხევარი წრეები ვურტყით სიღინეში, მერ კი თვითონაც გზა აებნა“. სკონი საჩხუბრად დაუშვეს და 4:8 დაუთმო ბრაზილიელ ვლადიმერ დუშ სანტუშ პერერას, რის შემდეგაც განაცხადა, რომ ეს მისი ბოლო სამოყვარულო ბრძოლა იყო. იგი პროფესიონალეებში გადადის.

დავით გულაშ

პირველი წრი
48 კგ. ველისუ მარიანი (რუმინეთი) — რამაზინ ბალიოდლე (თურქეთი) 20:3; მიკრო რომერო (კუბა) — ლუის ბუსტამანტი სოსე ვალერა (ვენესუელა) 15:3; ვალერი სიდორენკო (უკრაინა) — ხოსე ანასტასიო ალბუერკე (ბრაზილია) 12:7; სუბან პუნინი (ტაილანდი) — დილზოდ იულდაშევი (უზბეკეთი) 16:3; ბრაიან ვილორია (აშშ) — სერგეი ვაზაგოვი (რუსეთი) 16:3; ბრაზილ ასლუმი (საფრანგეთი) — რეზალა მოჰამედ აბდელაზიმი (ეგვიპტი) 12:3; ლა პენე მასარა (ინდონეზია) — იგან კალდერონი (პურტორიკო) 10:5; კიმ კი სუკი (სამხრეთ კორეა) — სუბამ სურეშ სინგჰი (ინდოეთი) 9:5; იგან სტაპოვიჩი (ლიტვა) — სანდუ მუჰამად კიზიტო (უგანდა) 9:3; ლიბორიო რომერო რომერო (მექსიკა) — მარიატე სოლტანი (ალფორი) 16:5; კიმ უნ ჩოლი (ჩრდილოეთ კორეა) — სეხუსიო კიკეი (ლესოტო) ნოკაუტი;
54 კგ. კერმენო ნეომაი (ვენესუელა) — რიაზ დურაბედი (მადრიდი) 16:4; ალასი ალალოლოლე (თურქეთი) — მიი კანგდე (ჩინეთი) 17:4; ვაზუმასა ცუჯიშოტო (იაპონია) — ჰასან სუჩიხი (მაროკო) 12 (57-47); გილერმო რიგონდო ორტისი (კუბა) — მოეზ ხემზემი (ტუნისი) ნოკაუტი; სეზარ მორალეს ველასკესი (მექსიკა) — აბდე ტეზაზალვა (უგანდა) 13:3; ოლტენუ გლორეკ კრინუ (რუმინეთი) — არტურ მიტელაინი (საბერძნეთი) 7:2; ტაალაბეკ კადირალიევი (ყირგიზეთი) — ნეფუკ ერმანი (კამერუნი) ნოკაუტი; კალურენს ვინსონი (აშშ) — რამიდ ბუაიტა (საფრანგეთი) 9:2; რაიკმულ მალახბეკოვი (რუსეთი) — კეფერინო ლაბარდა (არგენტინა) ნოკაუტი; თეიმურაზ ხურცილავა (საქართველო) — არამ რამაზიანი (სომხეთი) 12:7; ალიშერ რასიშოვი (უზბეკეთი) — ჩო სუკ პეანი (კორეა) ნოკაუტი; ჰიშემ ბლიდა (ალფორი) — ორლანდო იგან კრუზ ტორესი (პურტორიკო) 11:0;
57 კგ. იოსვანი ალიგლერა ზამორა (კუბა) — ჰიდემ იკო ცუკამოტო (იაპონია) ნოკაუტი; ტულკუნბეი ტურტუნოვი (უზბეკეთი) — ყასიმ ნამა ადამი (უგანდა) 12:3; რიკარდო ხუარესი (აშშ) — ბიჯან ბატმანი (ირანი) ნოკაუტი; ფალე პუსტე (გერმანია) — იონი ტურუნენი (ფინეთი) 10:3; რამაზან ფალიანი (თურქეთი) — ჰიდეფრ ალი (პაკისტანი) 5:4; ვლადიმერ მირ დუშ სანტუშ პერერა (ბრაზილია) — ჯეიმს სკონი (ავსტრალია) 6:4; ბეკნატ სატარხანოვი (ყაზახეთი) — ბობირნატ ოვიდიუ ტიბერო (რუმინეთი) 14:5; ჯეფრი მატეზულა (სამხრეთ აფრიკა) — ნუზედინ მეჯეჰუდი (ალფორი) 10:5; კამილ ჯე-მაილუტინოვი (რუსეთი) — ვიდვას ბიზოულიტისი (ლიტვა) 9:5.
60 კგ. ნურზან კარიზმანოვი (ყაზახეთი) — არტურ გევორქიანი (სომხეთი) 16:3; ხოსე ლეონარდო კრუზ ლასო (კოლუმბია) — ჯოვანი მიტელ ფრონტინი (მადრიდი) 10:3; ალმაზბეკ რაიკმულოვი (უზბეკეთი) — ტუმენცუცეგ უიტუმენი (მონღოლეთი) 15:4; კრისტინა ბუბარანო ბენიტესი (მექსიკა) — ჯელორტ ხუნგანე (ბოტსვანა) 17:5; გეორგე ლუნგუ (რუმინეთი) — ადისუ ტებუტუ (ეთიოპია) 15:3; რიგონდო ნარი (კანა) — ვიტორ რამოსი (აღმ. ტიმორი) ნოკაუტი; ანდრიო კოტელნიკი (ავსტრალია) — აგნალდო მატალაემი (ბრაზილია) 16:3; სელიმ ფალიანი (თურქეთი) — აბდელი ჯეზაბი (საფრანგეთი) 14:5; დედუე ჯეკსონი (აშშ) — ნაოფელ ბენ საბაბი (ტუნისი) 19:7; ალექსანდრ მელტინი (რუსეთი) — მახან ნურედინოვი (აზერბაიჯანი) 14:5; პატრიკ ლაოუსი (ვენესუელა) — ნორმან შუსტერი (გერმანია) 24:0;
67 კგ. ვიტალი გრუზინი (მოლდოვა) — ცეცასელასე არგევი (ეთიოპია) — არგევი არ გამოცხადდა; შერზოდ შუსანიკოვი (უზბეკეთი) — შაბაკ მოგომი (ირანი) 15:5; დანტ კრეგი (აშშ) — ფაფელ შიოზან შუბანი (ეგვიპტი) ნოკაუტი; ბულენტ ულუსაი (თურქეთი) — ზაე ჯან სუკი (სამხრეთ კორეა) 16:3; დანიარ მუნტიბასოვი (ყაზახეთი) — პულუს ალი ნუშუმბენე (ნამიბია) 14:2; ლეონარდო ბუნდუ (იტალია) — დენიელ გილი (ავსტრალია) 4:2; სერგეი დოცენკო (უკრაინა) — გილერმო საბუტო (არგენტინა) 12:7; პარკოომ იანგლონაი (ტაილანდი) — გერე ალტერინი (იუგოსლავია) 9:55) — 9:37); იოვანი ლორენსო (დომინიკის რესპუბლიკა) — უსამ უსამ ულაბი (პაკისტანი) 5:4; შტეფენ კუნსლერი (გერმანია) — მოსილესა ციე (ლესოტო) ნოკაუტი; დორელ სიმონი (რუმინეთი) — რუბენ ფურუ (პურტორიკო) ნოკაუტი; რობერტო გერა რივერა (კუბა) — ელის ჩიბუეი (ზამბია) 18:4;
75 კგ. აკან კაკაურიძე (თურქეთი) — მარიანო ნატალიო კარერა (არგენტინა) ნოკაუტი; იმ ჯუნგ ბინი (კორეა) — რამაზან იასერ აბდელაფანდი (ეგვიპტი) 8:7; ვუგარ ალექსანდროვი (აზერბაიჯანი) — პეტერ კარიუკი ნუში (კენია) 12:3; პოლ მილერი (ავსტრალია) — ჯერსონ რაველო (დომინიკის რესპუბლიკა) 8:7; ადრიან დიკონო (რუმინეთი) — აბდელი კინზი (ალფორი) 19:7; ჯიტენდრე კუმარი (ინდოეთი) — დონალდ გრანტ ორი (კანადა) ნოკაუტი; ფრანსისკო ბოზაბო (მექსიკა) — იოპ ანეს შიფეროვი იოხანესი (ეთიოპია) ნოკაუტი; ანტონიოს შიანელასი (საბერძნეთი) — ოტაგიო ბარონე (იტალია) 17:10; სორენ გუტიერესი (კუბა) — სომში სიმლეში (ტაილანდი) 20:11; ჯეფ ლეისი (აშშ) — კლიტონ კონსეპსიო (ბრაზილია) ნოკაუტი; ბედე კავიტეკი (მოლდოვა) — აბუდულოჰმანი (ჩინეთი) ნოკაუტი; გაიდაბეკ გაიდაბეკოვი (რუსეთი) — უტკირბეკ ჰაიდაროვი (უზბეკეთი) 11:0;



REUTERS სტენფორდ



იუგოსლავიელებმა ევლო რებრაჩამ (№11) და დეიან ტომაშევიჩმა (№14) რუსი ანდრეი კირილენკო ფარზე არ გაახარეს

აპერიკამ ჩინეთის დასვის კედელი იოლად გაანგრია

საკალათბურთო ოლიმპიადა მანდილოსნებმა გასწესეს. უპირველეს ფავორიტად შერაცხულმა ამერიკელმა ქალებმა პირველ დღეს, 16 სექტემბერს კორეის გუნდი დასცეს, ორი დღის შემდეგ კი მეზობელი კუბაც მიაყოლეს. რაღა თქმა უნდა, თავიანთ მანდილოსნებს არც ვაჭები ჩამორჩნენ და პირველი ჩინეთს აგემეს დამარცხების სიმწარე. მილიარდნახევრიანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის რჩეული კალათბურთელები იოლი ლუკმა აღმოჩნდნენ, გავეხვით და ვიტყვი, მომავალი ჩემპიონებისთვის.

განწირულები რომ იყვნენ, ეს, ცხადია, თავიდან მშვენივრად უწყობდნენ, მაგრამ ხაზს მოეციდნენ, ზონურ დაცვას მიმართეს, აქაოდა, ნბა-ში ამგვარი რამ აკრძალულია და იქნებ გაწაფულები არ იყვნენო, მაგრამ მოტყუვდნენ. ამერიკელთათვის ჩინური დაცვის კედლის გარღვევა გაცილებით იოლი გამოდგა, ვიდრე ჩინეზ-ყაენისა და მონღოლთა ბრბობისთვის ჩინეთის დიდი კედლის გადალახვა.

კიდევ რისი იმედიც შეიძლება ჰქონოდათ ჩინელებს, ეს სიმალე იყო. მათ ორი მაღალი კალათბურთელი ჰყავთ — 216-სანტიმეტრიანი ვანგ ჟიუი და ამ ჟირაფზე მთელი ათი სანტიმეტრით მაღალი, იაო მინგი. ამ უკანასკნელმა მოახერხა და ამერიკელებს ორჯერ დაუფარა. გაგულისებულმა ამერიკელებმა კი სამაგიერო ორმაგად გადაუხადეს, თექვსმეტ წუთში ხუთი პერსონალური მიაღებინეს და მყურებლებში გაუშვეს. ვანგ ჟიუიმ ცოტა მეტხანს გაძლო, თერამეტი წუთი მოანდომა ოთხი პერსონალურის მიღებას. მართალია, იგი 13 ქულით ყველაზე შედეგიანი გახლდათ თავისიანებში, მაგრამ პერსონალურებმა საშუალება არ მისცა, ჩინეთის დაცვით ჯაკვანს ერთ რგოლად ეგრძნო თავი.

ქარივით სწრაფი ამერიკელები კი გატეხილ მეტოქეს რაც სურდათ, იმას უკეთებდნენ. თავიც არ მოუკლავთ, ისე გაიმარჯვეს 47 ქულის სხვაობით.

ამ შეხვედრისგან განსხვავებით, ერთობ დაძაბული გამოდგა მედლების კანდიდატების — ლიტვასა და იტალიის ბრძოლა. მოგეხსენებათ, ჩვენი ყოფილი მომძე ლიტვა ოლიმპიადაზე არცთუ უძლიერესი შემადგენლობითაა წარდგენილი: 221-სანტიმეტრიანი ნბა-ს ცენტრები — არვიდას საბონისი და ჟიდრუნას ილგაუსკასი აკლია. ბალტიისპირელებს არც ევროპაში მქუხარე სახელის მქონე არტურას კარნიშოვასი ჰყავთ, მაგრამ ფარქვემა კალათბურთელთა არყოფნით გამოწვეული ვაკუუმის მიუხედავად, ისინი ბოლომდე თავდადებით ებრძოდნენ ევროპის ჩემპიონ იტალიელებს და მატჩი ბოლო წამებზე დათმეს.

ოლიმპიურ და ევროპის ჩემპიონებთან ერთად სადებიუტო მატჩში გამარჯვებას მსოფლიოს ჩემპიონმა იუგოსლავიამაც მიაღწია.

რუსები მედგარ წინააღმდეგობას უწყევდნენ ფავორიტებს და პირველი ნახევარის 28:27 მოგებაც მოახერხეს, მაგრამ მეორის საწყის ათ წუთში იუგოსლავიელებმა ევლო რებრაჩასა და დეიან ტომაშევიჩის რიგები გარჯვის წყალობით რვაქულიანი უპირატესობას მიაღწიეს და მერე მეტოქე ხუთ ქულაზე ახლოს აღარ გაიკარეს.

სიღნევის კონტა დარბაზში თავმოყრილი ათასობით, საერთოდ კი მილიონობით გულშემატკირის გულის გასახეთქად მასპინძელმა ავსტრალიამ სადებიუტო მატჩში მარცხი განიცადა კანადასთან, რომელიც სეულის შემდეგ პირველად მოხვდა ოლიმპიურ თამაშებზე. ავსტრალიელებს ხუთი ოლიმპიადის მონაწილე ვეტერანის, ენდრიუ გეიზის 24 ქულამ ვერ უშველა. კანადელმა მაიკლ მიქსმა 27 ქულა ჩაუგდო მასპინძლებს, გამარჯვების სულისმამღვლები კი „დალას მავრიქსის“ გამთამაშებელი სტივ ნეში გახლდათ, რომელმაც 15 ქულასთან ერთად აშტონივე შედეგიანი გადაცემა გაუხერხა თანაგუნდელებს.

ირაკლი ფირაფხილი

საზღვრული სლოვენის პასიურობა იხსნა

საზღვრული ტურნირში ქალთა 20 და ვაჟთა 12 ნაკრები ასპარეზობს.

მანდილოსნთა პაექრობიდან პირველ ტურში ჩემპიონი მეზობლების სუპერეგროპული დერბი გამოიჩინა. მსოფლიოს ჩემპიონმა ნორვეგიამ უმძაფრეს ბრძოლაში სძლია ატლანტის ოლიმპიადის ტრიუმფატორ დანიას და ნახევარფინალისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯიც გადადგა.

ვაჭებმა უკვე ორი ტურის გამართვა მოახსრეს. ჯერჯერობით უდანაკარგოდ მიიწვეს წინ მსოფლიოს მარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო ოთხეული — შვედეთი, რუსეთი, იუგოსლავია, ესპანეთი.

ექსპერტიზის საფრანგეთის ნაკრები პირველივე დღეს ძლივს გადაურჩა მარცხს სლოვენიელებთან. ყოფილმა იუგოსლავიელებმა მშვენივრად დაიწყეს თამაში, თითქმის მთელი ტაიმი ლიდერობდნენ და შესვენებაზე ორბურთიანი უპირატესობით წავიდნენ — 1:9.

მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე ისინი ხუთი ბურთითაც კი იყვნენ წინ, მაგრამ დარჩენილ დროში თითქოს ხელ-ფეხი შეეკრათო, ზედმეტად ფრთხილად მოქმედებდნენ, რათა როგორმე უპირატესობა შეენარჩუნებინათ, რისთვისაც სანახევროდ დაისაჯრენ კიდევ. საფინალო სასტუმრამდე ნახევარი წუთიღა რჩებოდა, როცა პასიურობისთვის მსაჯებმა, სლოვენიელებს ბურთი ჩამოართვეს. ფრანგებმა სულ რაღაც ათ წამში ჩინებულად გამოიყენეს ეს შანსი და წაგებას თავი დააღწიეს.

ძალიან გაუჭირდათ ნაღდ იუგოსლავიელებსაც — კორეელებს გამარჯვების გოლი მატჩის დათმავებამდე ათი წამით ადრე გაუტანეს.

რუსებმა ეგვიპტელებს ტაიმი იოლად, რვა ბურთით მოუგეს — 15:7, მაგრამ შესვენების შემდეგ რამდენიმე

წუთში ამხელა უპირატესობა უდარდლად გაფლანგეს — 20:20, თუმცა მალე მოეხერხა გონს და შეძლეს გამარჯვების მოპოვება.

შეორე, ბევრად მშვიდი ტური, ფავორიტებმა უდანაკარგოდ განვლეს.

ზინა ახალაძე

ქალები
16 სექტემბერი
A ჯგუფი
ბრაზილია 76:60 სლოვაკეთი
საზღვრული 75:39 სინეზალი
ავსტრალია 78:46 კანადა
B ჯგუფი
პოლონეთი 75:52 ახალი ზელანდია
რუსეთი 72:62 კუბა
აშშ 89:75 კორეა
18 სექტემბერი
A ჯგუფი
კანადა 62:41 სინეზალი
საზღვრული 58:51 სლოვაკეთი
ავსტრალია 81:70 ბრაზილია
B ჯგუფი
რუსეთი 84:46 პოლონეთი
კორეა 101:62 ახალი ზელანდია
აშშ 90:61 კუბა
ვაჭები
17 სექტემბერი
A ჯგუფი
საზღვრული 76:50 ახალი ზელანდია
იტალია 50:48 ლიტვა
იტალია: აბიო (7), ბაზილი (3), კიარინი (5), დამიო, ფუჩა (13), გალანდა (3), ლი ფეი (4), მენეგინი (3), მიანი (3), მი-ფრისი (9)
ლიტვა: ინიკისი (6), გედრაიტისი, იასი-კვირისი (8), მასიულისი (4), მასკოლო-უნასი (1), შიშაუასკასი (6), სონგაილა (7), შტომბერგასი (14), ტიმიზასკასი (2)
აშშ 119:72 ჩინეთი
აშშ: აბდურრაბიმი (12), ალენი (21), ბეი-კერი (11), კარტერი (16), გარნეტი (7), პარდვეი (12), კიდი (4), მაკდაიუსი (7), მურინგი (10), ბუტონი (7), სმიტი (12)
B ჯგუფი
იუგოსლავია 66:60 რუსეთი
იუგოსლავია: ბოდროგა (6), დანილო-ფიჩი (14), დროზნიაკი (8), ლუკოვსკი (4), ობრადოვიჩი (1), რებრაჩა (18), შივა-ნოვიჩი (2), ტომაშევიჩი (13)
რუსეთი: ავლევი (8), ბაზარევიჩი, ფე-ტისოვი (3), კირილენკო (10), მორგუ-ნოვი (4), ზ. პაშუტინი (6), ე. პაშუტინი (10), პანოვი (13), ჩიკალკინი (6)
ესპანეთი 64:45 ანგოლა
კანადა 101:90 ავსტრალია



შვედი მარტინ ფრანდესოე სლოვენიელთა კარს უტრეცს

REUTERS სტენფორდ

ჩემპიონები და პრიზიორები

18 სექტემბერი

სურმა

ვაჭები. 200 მ. თავისუფალი სტილი

- 1. პიტერ ვან ჰოგენბანდი (ჰოლანდია)
2. იან ტორპი (ავსტრალია)
3. მასიმილიანო როსოლინო (იტალია)

ვაჭები. 100მ. გულადმა

- 1. ლენი კრაიზელბურგი (აშშ)
2. მეტიუ ველში (ავსტრალია)
3. სტევ ტელოკე (გერმანია)

ქალები. 100მ. გულადმა

- 1. დიანა მოკანუ (რუმინეთი)
2. მაი ნაკამურა (იაპონია)
3. ნინა ჟივანეცკაია (ესპანეთი)

ქალები. 100მ. ბრასი

- 1. მეგან კენი (აშშ)
2. ლეისელ ჯონსი (ავსტრალია)
3. პენი ჰენსი (სამხრეთ აფრიკა)

კიუდო

ვაჭები. 73 კგ

- 1. ჯუზეპე მადლონი (იტალია)
2. ტიაგო კამილო (ბრაზილია)
3. ესეკლოდ ზელიონისი (ლატვია)
3. ანატოლი ლარიუკოვი (ბელარუსი)

ქალები. 57 კგ

- 1. იზაბელ ფერნანდესი (ესპანეთი)
2. დრიულის გონსალესი (კუბა)
3. კიე კუსაკაბე (იაპონია)
3. მარია პეკლი (ავსტრალია)

კალსნოვა

ქალები. 53 კგ

- 1. იანგ სია (ჩინეთი)
2. ლი ფენგ იუინგი (ტაივანი)
3. ვინარნი სლამეტი (ინდონეზია)

ქალები. 58 კგ

- 1. სორაია ხიმენეს მენდივილი (მექსიკა)
2. რი სონგ ჰუი (ჩრდ. კორეა)
3. ხასარაპორნ სუტა (ტაილანდი)

სანიჯოსნო სლაკოი

ვაჭები. ერთადგილიანი კანოე

- 1. ტონი ესტანგუე (საფრანგეთი)
2. მიხალ მარტიკანი (სლოვაკეთი)
3. იურაი მინჩიკი (სლოვაკეთი)

ქალები. ერთადგილიანი ბაიარა

- 1. სტეპანკა ჰილგერტოვა (ჩეხეთი)
2. ბრიჟიტ გუიბალი (საფრანგეთი)
3. ანელიზ ბარდე (საფრანგეთი)

სროლა

ვაჭები. პნემატური შაშხანა

- 1. კაი იალინი (ჩინეთი)
2. არტიომ ჰაჯიბეკოვი (რუსეთი)
3. ევგენი ალენიკოვი (რუსეთი)

ქალები. სასანგრე სტენდი

- 1. დაინა გუძინევიჩუტე (ლიტვა)
2. დელფინ რასინე (საფრანგეთი)
3. გაო ე (ჩინეთი)

ბანარჯიში

ვაჭები. გუნდური

- 1. ჩინეთი (ჰუანგ ჰუ, ლი სიაპინი, სიაო იუნფენგი, სინგ აოვეი, იანგ ვეი, ჟენგ ლიპუი)
2. უკრაინა
3. რუსეთი

ველოტრაქი

ქალები. 3კმ გამოდევნებით რბოლა


- 1. ლეონტიენ ზაილარდი (ჰოლანდია)
2. მარიონ კლინიე (საფრანგეთი)
3. ივონ მაკგრეგორი (დიდი ბრიტანეთი)

ფარიკაობა

ვაჭები. დაშნა. გუნდური

- 1. იტალია (ანჯელო მაცონი, პაოლო მილანოლი, მაურიციო რანდაცო, ალფრედო როტა)
2. საფრანგეთი
3. კუბა

პარდაუბალი ოლიმპიური რეპორაჟი



ფრანგთა სამეფლო ლორან განე, ფლორიან რუსო, არნო ტურნანი — ოლიმპიური ჩემპიონი ოლიმპიურ სპრინტში

ველომობილიზმზე უკვე მედლების ხუთი კომპლექტის გათამაშება მოასწრეს. პირველი ოქრო საფრანგეთის ნაკრების წევრმა ფელისია ბალანჟემ მოიპოვა. 29 წლის ვანდელმა ნახევარ წამზე მეტით აჯობა თავის ავსტრალიელ მეტოქე ფერისს. ეს დისციპლინა ოლიმპიურ თამაშებში პირველად იყო ჩართული და ბალანჟემაც, რომელსაც ხუთი წელია, ტოლი არ მოეძებნება, კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი სიძლიერე. თუმცა ჩემპიონობა იოლად სულაც არ მოუპოვებია. „ჩემი მოწინააღმდეგეების დრო რომ გავივსო, ერთი პირობა გამარჯვებაში ეჭვიც შეშუპარა“ — აღიარა ოლიმპიურმა ჩემპიონმა. ფერისმა ისეთი კარგი დრო აჩვენა, შეეძლო, ოქრო მოეგებულა დაც ჩაეთვალა. თუმცა ბალანჟე როგორც კი სტარტიდან დაიბრუნდა, ავსტრალიელი მიხვდა, რომ ვერცხლით მოუწევდა დაკმაყოფილება. ფრანგი პირველი 250 მეტრის შემდეგვე დაიწყო და დასაბოლოო ოლიმპიური რეკორდით (სხვანაირად შეუძლებელიც იყო, რადგან დისციპლინა ოლიმპიურად პირველად დაუშვეს) გაიმარჯვა, მსოფლიოს რეკორდამდე (34,010 წმ) კი სულ ცოტა დააკლდა.
კაცებში დიდბრიტანელი ჯეისონ ქველის წარმატება საკმაოდ დიდი სიურპრიზი იყო. 30 წლის მობილიზმის ძალიან დიდი უპირატესობით აჯობა ნიკეასკ და კელისკ; მთავარმა ფავორიტმა, ფრანგმა არნო ტურნანმა კი მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა (+1,420 წმ). არადა, იგი დისტანციის პირველი ნახევრის შემდეგ ქველიზე წინ იყო. 183 სმ სიმაღლისა და 85-კილოგრამიანი ქველი პირველად ავიდა მსოფლიო მნიშვნელობის პოდოუმზე. შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე მან მეხუთე ადგილი დაიკავა. ნიკეასკ და მაყურებლების მიერ ძლიერ ნაქომაგვმა კელიმაც ქველისთან ბოლო 200-300 მეტრზე წააგეს რბოლა. ავსტრალიელთათვის ეს მეორე ოლიმპიური მედალია ბარსელონური ვერცხლის შემდეგ.
კვირას გამოდევნებით რბოლის ფინალი წმინდა გერმანული იყო. 24 წლის ბარტკომ 8 წლით უფროს ლემანს ხუთ წამზე მეტით აჯობა და თან ოლიმპიურ რეკორდსმენობასაც გამოჰკრა ხელი. ლემანი ოლიმპიადის ფინალში ბარტკოს ასაკშიც ყოფილა, მაგრამ მას ბარსელონაში დიდბრიტანელმა კრის ბორდმენმა გადაუღობა ოქროსკენ სავალი გზა. მესამე ადგილისთვის ბრედ მაკგი, რომელმაც ნახევარფინალი ბარტკოსთან წააგო, დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელ რობ

ბრედ მაკგი, რომელმაც ნახევარფინალი ბარტკოსთან წააგო, დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელ რობ

პიელეს შეხვდა და საკმაოდ ძნელად მოუგო.
ოლიმპიური სპრინტი ნაკრებებს შორის საკმაოდ ლამაზია სანახავად. სამი მობილიზმის პირველი მხოლოდ ერთ წრეს გაივლის, მეორე — ორს, მესამე კი მარტოობაში ამთავრებს რბოლას. ამ დისციპლინაში მხოლოდინის შესაბამისად საფრანგეთის ნაკრებმა იმარჯვა. განესა და ტურნანისთვის ეს პირველი ოლიმპიური ოქრო გამოდგა, რუსოს კი ეს ბენდინერება ატლანტაშიც რგებია წილად პითში. საფრანგეთის შედეგი ოლიმპიური რეკორდის იყო. ამის მიზეზი კი იგივეა, რაც ბალანჟეს შემთხვევაში. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში მასპინძელთა ნაკრებმა საბერძნეთისას აჯობა.
გუმინ უძლიერესი ვინაობა მხოლოდ ქალებმა გაარკვიეს გამოდევნებით რბოლაში. თუმცა ეს ცოტა პირობითი ნათქვამია, რადგან ყველამ იცოდა, რომ კვირის ნახევარფინალის შემდეგ ჩემპიონი ჰოლანდიელი ლეონტიენ ზაილარდი გახდებოდა. ჰოლანდიელმა ახალზელანდიელ სარა ულმერს აჯობა და თან მსოფლიოს რეკორდითაც გაიხარა (3 წთ 30,816 წმ). მეორე ნახევარფინალში წინა რეკორდის ავტორმა და მსოფლიოს ახლანდელმა ჩემპიონმა ფრანგმა მარიონ კლინიემ დიდბრიტანელ ივონ მაკგრეგორს მოუგო. ფინალში ზაილარდმა 3 კილომეტრის გავლას 3 წუთი და 33,360 წამი მოახლოდა, რაც კლინიეს შემდეგზე მთელი ხუთი წამით უკეთესი აღმოჩნდა. 30 წლის მობილიზმისთვის ეს პირველი ოლიმპიური ოქროა, კლინიეს კი ვერცხლი ატლანტაშიც მოუგია. მესამე ადგილი მაკგრეგორს დარჩა, რომელმაც ულმერს წამის 8 მეასედით აჯობა.

ბაიოზ თალაგმაძე

16 სექტემბერი

ქალები. 500 მ პითი

- 1. ფელისია ბალანჟე (საფრანგეთი) 34,140 წმ; 2. მიხელ ფერისი (ავსტრალია) 34,696; 3. კუიუა ჯიანგი (ჩინეთი) 34,768

კაცები. 1000 მ პითი

- 1. ჯეისონ ქველი (დიდი ბრიტანეთი) 1 წთ 01,609; 2. მტეფან ნიჩვე (გერმანია) 1 წთ 02,487; 3. შონ კელი (ავსტრალია) 1 წთ 02,818

17 სექტემბერი

კაცები. 4 კმ გამოდევნებით რბოლა

- 1. რობერტ ბარტკო (გერმანია) 4 წთ 18,55; 2. იენს ლემანი (გერმანია) 4 წთ 23,824; 3. ბრედ მაკგი (ავსტრალია) 4 წთ 19,250

კაცები. ოლიმპიური სპრინტი

- 1. სარანგანდო (ლორან განე, ფლორიან რუსო, არნო ტურნანი) 44,233; 2. დიდი ბრიტანეთი (კრის ბორ, კრეივ მაკლინი, ჯეისონ ქველი) 44,680; 3. ანსტრალია (შონ ედი, დარიონ ბილი, გარი ნივანდი) 45,161

18 სექტემბერი

ქალები. 3 კმ გამოდევნებით რბოლა

- 1. ლეონტიენ ზაილარდი (ჰოლანდია) 3წთ 33,360; 2. მარიონ კლინიე (საფრანგეთი) 3წთ 37,75; 3. ივონ მაკგრეგორი (დიდი ბრიტანეთი) 3წთ 38,850

ფარიკაობა

ოქროს ჩხვლეტა



ნაფინალეგს იტალიელთა ყიფინა, ფრანგთა წუხლი

ფილდა შეჯიბრის ყველაზე დაძაბული შეხვედრა უდავოდ ნადი-ფლეისეის ნახევარფინალი იყო. თავიდან გეადალუკელი დაწინაურდა (4:4). ბოლო პერიოდის დასაწყისში კი ზედიზედ მეთხუთე ჩხვლეტის შემდეგ უკვე უნგრელმა შეიქნა გვარიანი მარაგი (13:10). მერე ანგარიში ორჯერ იყო თანაბარი (13:13, 14:14), ბოლოს კი ნადი უფრო იბლიანი აღმოჩნდა.

უნგრელი ფინალში შევიცარიელ იანა აბლეუტსელ-პირკის შეხვდა და იოლადაც მოუგო (15:11), თუმცა ამით ნეიტრალური ქვეყნის წარმომადგენელი დიდად არ დანადგლიანებულა, რადგან თავის ქვეყანას ისტორიაში პირველი ოლიმპიური მედალი მოუტანა ქალთა ფარიკაობაში.
დაშნებით გუნდურ შეჯიბრში ფრანგმა ობრიმ მეორედ დაკარგა ოქროს მედალი და ამჯერად მეტობრებიც გააწვლია. თუმცა მისი თანაგუნდელ ჟან-ფრანსუა დი მარტინო ობრიზე ნაწყენი სრულიადაც არაა. „რა მისი ბრალია, ოქროს ჩხვლეტა“ ყოველთვის ლატარიაა. ამჯერად მეტოქეს გაუმართლა — თქვა დი მარტინომ. არადა, საქმე ობრის აქამდე არ უნდა მიყვანა. ფრანგებმა ხუთ დეულში ორჩხვლეტიანი უპირატესობა მოიპოვეს, ობრიმ კი სარბილზე მეორედ გაოსივლინა ხუთ წუთში გაფლანგა ეს უპირატესობა ალფრედო როტასთან და დამატებითი დროც დაინიშნა პირველი ჩხვლეტამდე. როტა უფრო ობლიანი აღმოჩნდა, ობრის კი ცრემლები მოაწვა და მისი დაწყნარება თანაგუნდელებმაც ვერ შეძლეს. საბოლოოდ 39:38 იტალიის სასარგებლოდ. მესამე ადგილისთვის მატჩში კუბელებმა კორეელებს მოუგეს.

ბაიოზ თალაგმაძე

16 სექტემბერი

კაცები. დაშნა

- 1. ბაველ კოლობოვი (რუსეთი); 2. იუგ ობრი (საფრანგეთი); 3. ლი სანგ კი (კორეა)

17 სექტემბერი

ქალები. დაშნა

- 1. ტიმი ნადი (უნგრეთი); 2. იანა აბლეუტსელ-პირკი (შვეიცარია); 3. ლორა ფლეისელი (საფრანგეთი)

18 სექტემბერი

კაცები. დაშნა. გუნდური

- 1. იტალია (მაურიციო რანდაცო, პაოლო მილანოლი, ალფრედო როტა); 2. საფრანგეთი (ჟან-ფრანსუა დი მარტინო, კრეივ სრევი, იუგ ობრი); 3. კუბა (ნელსონ ლილიოლა, კარლოს პედეროსო, ივან ტრეფევი)

ფიზის გმირი

პიტერ ვან ჰოვენანდი

პოლანდია, ცურვა

პიტერ ვან ჰოვენანდი 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში თვით იან ტორპი დაამარცხა.

პოლანდიის ქალაქ მასტრიხტში დაბადებული 193 სანტიმეტრი სიმაღლის 22 წლის მოცურავე სპორტსმენთა თანაგარსკვლავებში პირდაპირ არ შეფერინილა, ნაბიჯ-ნაბიჯ შევიდა.

როგორც 100 ასევე 200 მეტრიან დისტანციაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ხოლო შემდეგ დადგა 1999 წელი და ვან დენ ჰოვენანდი ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონის პოპოვის დამარცხება შეძლო.

გუმინდლიდან პიტერ ვან დენ ჰოვენანდი ოლიმპიური ჩემპიონია.



პინსოლი

- 17 სექტემბერი
პოლანდია 64 ავსტრალია
კორეა 102 იტალია
აშშ 42 იაპონია
კუბა 160 სამხრეთ აფრიკა

სოფტბოლი

- 17 სექტემბერი
ავსტრალია 32 ახალი ზელანდია
იაპონია 41 კუბა
ჩინეთი 50 იტალია
აშშ 60 კანადა

ბრიჯბოლი

- 16 სექტემბერი
ქალაქი
1. ბრიჯიტ მაკმაჰონი (შვეიცარია) 2.00.40,52
სთ; 2. მიშელი ჯონსი (ავსტრალია) 2.00.42,55; 3. მიგალი მესმერი (შვეიცარია) 2.01.08,83 სთ.

კალისნობა

- 16 სექტემბერი
ვაეები. 56 კგ
1. პაილ მუტლუ (თურქეთი) 305,0 კგ; 2. ივან ივანოვი (ბულგარეთი) 292,5 კგ; 3. ვუ ვენიონგი (ჩინეთი) 287,5 კგ

მუტლუს სამობა

ოლიმპიური სამბლეონსო მიმოხილვა დღეს თურქული თემით შევსებული ორი ამავე თურქულ ცული და კარგი ცხადია, თურქეთის, თორემ ჩვენ რა... ტრადიციულად ცულით ვიწყებთ: ნამ სულეიმანოვლუმ 15 წუთში ოლიმპიური კარიერა დაასრულა.

თავშესაფრის მოთხოვნით. ერთიკერად თურქია და ამან საქმე დიდად გაუძვილა. სხვათა შორის, თავიდან ბულგარეთშივე ცხოვრობდა ხალილ მუტლუ.

სიდნეის ნაირ-ნაირი

შაბათს ოლიმპიური ტურნირის პლაჟის ფრენბურთში მეტად უცნაური მაყურებელი ჰყავდა — ახალზელანდიური სელაპი.

სელაპი მოულოდნელად გამოჩნდა „ბონდი ბიზნეს“ მოწყობილ სტადიონზე და დიდი ინტერესითაც ადევნებდა თვალყურს ბიკინებში გამოწყობილ დიაცების ბურთობას.

პრინციის ოლიმპიური ტურნირის სტარტი შაბათს მავანი ავტობუსის მძღოლის არაკომპეტენტურობის გამო ნახევარი საათით გადაიდო.

ოლიმპიადის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე ჩილეს პატარა დელეგაციას წესით წინ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი მარსელო რიოსი უნდა წაძლოლოდა.



მარსელო რიოსი

დოკინგი

რუმინეთმა გასცა და ღარჩა

ისმ არ წვიმს, როგორც ქუსსო, ნათქვამია. გადაჭარბებული გამოდგა ამასწინანდელი ხმაურიანი ვანცხადება.

რაც შეიძლება მალე წავა სამშობლოში. მატეიასის დოპინგ-ტესტის შედეგები კი თავიდან გადამოწმდება.

დავით გულუა



ზინა ზემიტა ხარ, მი ჯემიტა.

ლანსი — მსჯე 11. გდია პარტიული მენდი, ფრინავს მასპინძელი დიუფი

პირტი გოლის საპარისია

საფრანგეთი

VIII ტური

სანტ ბიტიანი XI ლილი

10 ალექსი (20), XI ბუკი (40)

22 442 მანუარებელი

ნანტი XI ლიონი

XI ანდრესონი (44)

მანუარებელი

მარსალი XI ბორდო

XI ბატლი (75)

60 000 მანუარებელი

ტრუა XI სტრასბური

XI ბურტენი (38 ა)

13 294 მანუარებელი

მიუნხენი XI რაინი

XI როდრიგესი (15)

10 000 მანუარებელი

პასტიი XI რენი

XI დილა (59), XI ტიურდო (73)

10 000 მანუარებელი

მიცი XI სილინი

XI ფაფერი (83)

16 131 მანუარებელი

ლანსი XI მსა

XI დიუფი (57), XI ლეოპო (62)

40 000 მანუარებელი

მიუნხენი XI ტულუზი

XI ფილი (4), XI ბი, XI ნონა (8, 55)

5 000 მანუარებელი

ტური მეტად მწიროვლიანი და მო-

ულოდნელობით აღსავსე გამოდგა: ცხრა მატჩში მხოლოდ 14 ბურთი გავიდა. ვერც ერთმა გუნდმა „მონაკოსა“ და „რენის“ გარდა, ერთზე მეტი გოლი ვერ მითვალა, რაც ერთობ იშვიათი მოვლენაა. ლილიერი „პასტიას“ შინ „რენთან“ და-მარცხდა, მაგრამ ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით გათამაშების ცხრილში პირველობა მაინც შეინარჩუნა. კორსიკელები საკუთარ „ფურია-ნის“ სტადიონზე საერთოდაც იშვიათად აგებენ და ახლა, როცა წინა წლებში განსხვავებით გაცილებილი უკეთეს ფორმაში არიან, ეს მით უფრო მოულოდნელია. ბრეტონებს კუნძულის-დან შინ ხელცარიელი დაბრუნება არ სურდათ და თამაშაც მთლიანად დაც-ვაზე ააგეს, წინ მხოლოდ ტიურდო გაამწესეს. პასტიელებმა „რენის“ თავ-დაცვითი ჯებირები ვერაფრით გადა-ლახეს და მათი მეკარე ბენარ ლამა პირველად მხოლოდ 30-ე წუთისთვის შეაწუხეს. მეორე ტაიმში მასპინძლე-ბის შეტევები უფრო გამწვავდა, მა-გრამ სწორედ ამ დროს აქცია მათ ფორტუნამ ხურგი. რამდენიმე მეტად ხელსაყრელი მომენტის კაცულების შე-მდეგ კორსიკელთა კართან პირველი კუთხური დანიშნა და დიატამ ანგარი-შიც გახსნა. ამის მერე „პასტიას“ მთ-ლიანად შეტევაზე გადაერთო და მეო-რე გოლიც გაუშვა, მატჩის მიწურულს კი სამ ქულასთან ერთად კაპიტანიც დაკარგა — სუმა მსაჯმა უხეშობი-სთვის გააძევა. „პასტიას“ გასწორების შანსი „ლა-ნსსა“ და „პარი სენ ჟერმენს“ პქო-ნდათ. ეს გუნდები ერთმანეთს ხვედ-ბოდნენ და გამარჯვებული სატურნი-რო ცხრილის სათავეში ჩაუდგებოდა, მაგრამ მატჩი ფრედ დაითავრდა და მეტოქეებიც მეორე და მესამე ადგი-ლებზე დარჩნენ. „მეგონა, რომ მსჯე უფრო ძლიერად ითამაშებდა და ქუ-

ლის მოპოვებაც კი გავეჭირდებოდა, თუმცა, წესით, ჩვენ უნდა მოგვევო. ანგარიშის გახსნის შემდეგ უფრო მე-ტი ყურადღება რომ გამოგვეჩინა, სა-პასუხო გოლს თავიდან ავიცილებდით — თქვა „ლანსის“ მთავარმა მწვრთნე-ლმა როლან კურბისმა.

სამწვავებიანი სერია დაასრულა „მო-ნაკოს“. სათავედ გუნდმა „ლილი II“-ის სტადიონზე „ტულუზს“ უმასპინძლა და დებიუტშივე ნოკაუტში ჩააგდო. მე-მ წუთზე ანგარიში უკვე 2:0 იყო, თანაც მასპინძლები იმდენად ჯობნიდნენ სტუ-მრებს, რომ მატჩის ბედი ეჭვს აღარ იწვევდა. და რომ არა ტულუზელთა მეკარის, კრისტოფ რევოს მშვენიერი თამაში, აღენ უჩრესის გუნდი სამარც-ხვინოდ განადგურდებოდა.

გაიოხ თალაგამა

ბასტია	8	5	0	3	11:7	15
ლანსი	8	4	3	1	10:8	15
მსჯე	8	4	2	2	18:12	14
მეცი	8	4	2	2	7:5	14
ლიონი	8	3	4	1	10:7	13
ლილი	8	3	2	3	10:7	11
ტრუა	8	3	2	3	12:12	11
მონაკო	8	3	2	3	11:11	11
ნანტი	8	3	2	3	12:15	11
სილინი	7	3	1	3	7:7	10
სენტ ეტიენი	8	2	4	2	14:15	10
მარსალი	8	3	1	4	10:11	10
ვენგამი	8	3	1	4	10:11	10
ოსერი	8	3	1	4	9:10	10
რენი	7	2	3	2	9:6	9
ბორდო	8	2	3	3	10:9	9
ტულუზი	8	1	3	4	7:11	6
სტრასბური	8	2	0	6	7:20	6

მეორე დივიზიონი

მე-10 ტური: ნანსი — მარტივი მი, გენიონი — შატორუ მკ ბოვე — ლე მანი მკ კრეტვი — კანი მკ ლეგალი — ნიორი მკ ლე ფრი — კანი 22 ლორანი — ანჟრი 30 მონაზლე — სოზო მკ ნიკა — ნიმი 12; ვასკალი — ბიანი 20

მონპელიე	10	6	3	1	14:5	21
ნანსი	10	6	2	2	14:5	20
სოზო	10	6	1	3	18:9	19
ლორიანი	10	5	3	2	14:9	18
ლე ავრი	10	4	5	1	13:6	17
ლაგალი	10	5	2	3	12:10	17
შატორუ	10	4	4	2	10:11	16
ნიორი	10	4	3	3	13:12	15
მარტივი	10	3	5	2	10:9	14
ნიკა	10	4	2	4	10:11	14
ლე მანი	10	2	6	2	11:10	12
ნიმი	10	3	3	4	12:17	12
კრეტვი	10	3	2	5	11:12	11
ვასკალი	10	2	4	4	8:9	10
კანი	10	2	4	4	16:18	10
კაენი	10	2	3	5	11:18	9
აიაჩო	10	2	3	5	7:15	9
ბოვე	10	1	5	4	7:11	8
გენიონი	10	1	4	5	5:11	7
ანჟერი	10	1	4	5	10:18	7

იურიდიული და სააღმკრთო მომსახურება
ფელაგათიან ფასად.
შირპეშის რეპრეზენტაცია
სერაფა და იაფა
 მარჯანიშვილის ქუჩა №6;
 II სართული; ოთახი №228
 ტელეფონი: 95 53 20;
 62 56 52 (სალამოს)

სარგბიელი

სპორტული ლატარია

იტალია. სერია "ბ". გადაღებული მატჩები	517	კაიურსლაუტ-ბოპმიანსი	1,1	6,0	12,0	
20 სექტემბერი		ოლიმპიკადა. ფეხბურთი. კაცები				
002 რავენა-პიაჩენცა	18.00	19 სექტემბერი				
001 მონცა-სალერნიტანა	2,5	401 იტალია-ნიგერია	14.00	2,0	2,3	4,0
003 სამპდორია-პისტოიუე	1,45	402 ავსტრალია-ბონდურასი	14.00	1,65	3,4	3,6
004 სამპდორია-პისტოიუე	0:1	403 ჩეხეთი-კამერუნი	14.00	2,8	3,1	2,2
		404 აშშ-ქუვეითი	14.00	1,8	3,2	3,6
005 ტორინო-ვენეცია	2,1	20 სექტემბერი				
		405 კორეა-ჩილე	14.00	4,0	3,2	1,7
		406 ესპანეთი-მაროკო	14.00	1,35	3,8	7,0
		407 ბრაზილია-იაპონია	14.00	1,35	4,0	6,5
		408 სლოვაკეთი-საფრიკა	14.00	3,4	3,4	1,7
		ოლიმპიკადა. ფეხბურთი. ქალები				
		19 სექტემბერი				
		409 ავსტრალია-ბრაზილია	13.30	4,2	3,4	1,6
		410 გერმანია-შვედეთი	13.30	1,7	3,4	3,6
		20 სექტემბერი				
		411 აშშ-ნიგერია	13.30	1,15	5,6	10,0
		412 ნორვეგია-ჩინეთი	13.30	3,8	3,2	1,75
		ოლიმპიკადა. კალათბურთი. კაცები				
		19 სექტემბერი				
		413 ახ. ზელანდია-ჩინეთი		4,0	12,0	1,15
		414 ანგოლა-კანადა		8,5	12,0	1,03
		415 აშშ-იტალია	08.30	1,01	15,0	15,0
		416 რუსეთი-ესპანეთი	08.30	1,3	12,0	2,8
		417 ლიტვა-საფრანგეთი	13.30	1,35	12,0	2,5
		418 ავსტრალია-ოკლანდია	13.30	1,25	12,0	3,1
		20 სექტემბერი				
		419 იტალია-ახ. ზელანდია		1,02	12,0	10,0
		420 კანადა-ესპანეთი		1,7	12,0	1,7
		421 ჩინეთი-საფრანგეთი	08.30	5,0	12,0	1,1
		422 აშშ-ლიტვა	08.30	1,01	15,0	15,0
		423 იუგოსლავია-ანგოლა	13.30	1,01	15,0	15,0
		424 ავსტრალია-რუსეთი	13.30	2,5	12,0	1,35
		ოლიმპიკადა. კალათბურთი. ქალები				
		20 სექტემბერი				
		425 კანადა-საფრანგეთი		4,0	12,0	1,15
		426 კუბა-ახ. ზელანდია		1,02	12,0	7,5
		427 ბრაზილია-სენეგალი	08.30	1,01	15,0	15,0
		428 აშშ-რუსეთი	08.30	1,05	12,0	5,0
		429 ავსტრალია-სლოვაკეთი	13.30	1,02	12,0	10,0
		430 კორეა-პოლონეთი	13.30	1,5	12,0	1,9
		ოლიმპიკადა. ხელბურთი. კაცები				
		20 სექტემბერი				
		431 ტუნისი-შვედეთი		7,5	8,0	1,05
		432 რუსეთი-კორეა		1,15	8,0	4,0
		433 ეგვიპტე-კუბა	08.30	1,25	8,0	3,1
		434 ავსტრალია-სლოვენია	10.30	10,0	10,0	1,02
		435 ესპანეთი-საფრანგეთი	13.30	1,3	8,0	2,8
		436 იუგოსლავია-გერმანია	15.30	1,35	8,0	2,5
		ოლიმპიკადა. ხელბურთი. ქალები				
		19 სექტემბერი				
		437 ნორვეგია-ავსტრალია	08.30	—	15,0	25,0
		438 საფრანგეთი-უნგრეთი	10.30	3,1	8,0	1,25
		439 რუმინეთი-კორეა	13.30	2,5	8,0	1,35
		440 ავსტრალია-დანია	13.30	3,1	8,0	1,25
		20 სექტემბერი				
		441 ბრაზილია-ავსტრალია	08.30	7,5	8,0	1,05
		442 ანგოლა-რუმინეთი	10.30	8,5	8,5	1,03
		443 ავსტრალია-დანია	13.30	25,0	15,0	—
		444 უნგრეთი-კორეა	15.30	1,7	8,0	1,7
		ოლიმპიკადა. ფრენბურთი. კაცები				
		19 სექტემბერი				
		445 ესპანეთი-კუბა	06.00	3,1	—	1,25
		446 ეგვიპტე-ბრაზილია	06.30	15,0	—	1,01
